საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალაანი

ბალაანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში, (შიდა ქართლის რეგიონი), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირას. ქარჩოხის თემის ცენტრი (სოფლები: ბ., ელოიანი, თინიკაანი, მიდელაანი, ნავიხევი, ოხირი, პავლიანი, ქარელთკარი, ქენქაანი, ჩიგოიანი, წიფთაური, ჭორჭოხი, ხოზუეთი). ზ. დ. 1300 მ, ახალგორიდან 27 კმ. სოფელი მდებარეობს ისტ. შიდა ქართლში. სახელწ. „ბ“ მოდის ბალაშვილების გვარიდან.

სოფლის თავში, ბალაანთხევის პირას, დგას მათი საგვარეულო კოშკი - ოთხსართულიანი პირამიდული ნაგებობა. აშენებულია კლდის ქვითა და დიდი ლოდებით, გადახურულია სიპი ქვის ორფერდა სახურავით და, შესაბამისად, ორი კედელი ფრონტონითაა დაგვირგვინებული. კოშკის ქვედა ნაწილი მასიურია. კარი II სართულზეა. სამიოდე მ-ის სიმაღლეზე. ადიოდნენ მისადგმელი კიბით. სართულებშუა გადახურვები ხისაა. კოშკი აღჭურვილია სათოფურებით. შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები. ამ ტიპის კოშკებს წმინდა სამხ. დანიშნულება ჰქონდათ, წარმოადგენდნენ სათვალთვალოებს.